ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

1990 ᲬᲚᲘᲡ 5 თებერვალს მუშაობას განაგრძობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმი.

შესვენების შემდეგ კამათში გამოვიდნენ: **ბ. მ. ბელოუსოვი** — სსრ კავშირის თავდაცვითი მრეწველობის მინისტრი; **ვ. ი. ბროვიკოვი** — სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის რესპუბლიკაში; **ბ. კ. ლუჩინსკი** — მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ვ. გიდასპოვი** — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ბ. ე. პატონი** — უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი; **ვ. ა. შაბანოვი** — სარატოვის ელექტრო აგრეგატების საწარმოო გაერთიანების უფროსი ოსტატი; **ა. ნ. შუთალიბოვი** — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. მ. პლატონოვი** — საწარმოო გაერთიანების „ჩელიაბინსკის ვ. ი. ლენინის სახელობის სატრაქტორო ქარხნის“ პარტკომის მდივანი; **ნ. ი. რიჟკოვი** — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე; **ი. ი. შელნიკოვი** — მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტკომის მდივანი; **მ. ა. კნიაზიუკი** — სკკპ ივანოვოს საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. გ. კოვალიოვი** — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე; **ნ. ნ. გუბენკო** — სსრ კავშირის კულტურის მინისტრი; **ვ. ვ. კოზლენკოვი** — ქარხანა „პროგრესის“ პარტკომის მდივანი, კუიბიშევის ოლქი.

პლენუმის მასალები სრულად ქვეყნდება გაზეთ „პრავდაში“ და შინაარსი — მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში.

პლენუმზე შეიქმნა პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის დამმუშავებელი და განსახილველ საკითხზე პლენუმის დადგენილების მომმზადებელი სარედაქციო კომისია.

6 თებერვალს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განაგრძო პარტიის XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტისა და ამ საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

დღის პირველ ნახევარში პლენუმზე გამოვიდნენ **ე. პ. ველიხოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, **ი. ვ. კურჩატოვის** სახელობის ატომური ენერგიის ინსტიტუტის დირექტორი; **ვ. ი. ვოროტნიკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, რსფსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე; **ი. ა. განკოვსკი** — ტიუმენის ოლქის საწარმოო გაერთიანება „ნიჟნევარტოვსკ-ნავთობგაზის“ პარტკომის მდივანი; **ვ. ი. ვიალიხი** — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ი. კ. ლიგაჩოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომჩეტის მდივანი; **ვ. დ. კადლინიკოვი** — სკკპ სვერდლოვსკის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ა. ივაშკო** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი. **ა. პ. მიასნიკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, კორშუნოვსკის სამთომამდიდრებელი კომბინატის ესკალატორის მემანქანე, ირკუტსკის ოლქი; **ვ. გ. ანუფრიევი** — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი; **ე. ა. შევარდნაძე** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი; **ა. ა. ბელიაევი** — სკკპ ცენტრალური სარედაქციო კომისიის წევრი, გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ მთავარი რედაქტორი; **ვ. ვ. ნიკიტინი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სურსათისა და შესყიდვის სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე; **ვ. ა. ვილენგუანინი** — კამის დიდი სატვირთო ავტომობილების წარმოების გაერთიანების პარტკომის მდივანი, თათრეთის ასსრ; **ვ. ა. მედვედევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ხ. გ. არუთინიანი** — სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ა. ი. ხელეზნიოვი** — სკკპ კურსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ნ. ნ. სლიუნკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ხ. დ. ნიეტულაევი** — უზბეკეთის კომპარტიის ყარაყალპაყეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ს. ნ. ფიოდოროვი** — დარგთაშორისი სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსის „თვალის მიკროქირურგიის“ გენერალური დირექტორი; **ა. ნ. იაკოვლევი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი; **ნ. თ. ტატარჩუკი** — სკკპ კალინინის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი; **ს. ს. შატალინი** — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი; **გ. გ. გუმბარიძე** — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; **ვ. ა. კრიუჩკოვი** — სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

7 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ XXVIII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲐᲢᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

5 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სარედაქციო კომისიის პირველი სხდომა.

6 თებერვალს მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით კომისიის სხდომებზე განაგრძეს იმ წინადადებების და შენიშვნების განხილვა, რომლებიც პლენუმის მონაწილეებს შეაქვთ სკკპ XXVIII ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლატფორმის პროექტის გამო.

ᲚᲔᲚᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲝᲙᲝᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

8 თებერვალი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 27 (10 196) ფასი 3 კაპ.

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1934 ᲬᲚᲘᲡ 13 Ა�პᲠᲘᲚᲘᲓᲐᲜ

ᲐᲗᲜᲘ — ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲨᲘ

ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲨᲘ თბილისში ჩატარდება ახალგაზრდა კლასიკური სტილის მოჭიდავეთა საკავშირო პირველობა (1970-1971 წლებში დაბადებულთა შორის). მათ შორის იქნება „მართვეს“ 10 მოჭიდავეც, რომლებმაც ეს უფლება „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მოიპოვეს. შეჯიბრება ვოროშილოვგრადში გაიმართა.

ოზურგეთელმა ალექსანდრე ბოლქვაძემ პირველი ადგილი მოიპოვა 52 კგ წონით კატეგორიაში. იგი ფინალში ხულოელ მოგვარეს, ბადრი ბოლქვაძეს შეხვდა. მეორე ადგილი დაიკავა, აგრეთვე, ჩოხატაურელმა ხვიჩა ნეფარიშვილმა (100 კგ).

მათ გარდა სამი ჩვენი ფალავანი მესამე ადგილებზე გავიდა. ესენი არიან: თენგიზ რაგოიანი (52 კგ), ტარიელ შავაძე (57 კგ) და ზაზა სილაგაძე (90 კგ). სამივე თბილისელია. ზემოთ ჩამოთვლილთა გარდა, როგორც უკვე ვთქვით, ნაკრებში კიდევ ოთხი ჩვენი მოჭიდავე მოხვდა.

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲗᲛᲝᲑᲔᲜ

ᲑᲝᲛᲔᲚᲨᲘ გრძელდება 1976 წელსა და უფრო გვიან დაბადებულ მოჭადრაკე გოგონათა საკავშირო პირველობა, რომელთაგან 5-5 გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს 12 და 14 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობების შესარჩევ ტურნირებში. სასიხარულოა, რომ კარგად გამოდიან ქართველი გოგონები. ისინი არც 5 ტურის შემდეგ თმობენ პოზიციებს. 4,5-4,5 ქულით შეჯიბრებას ლიდერობენ თბილისელი თამარ ფაჩულია და ხერსონელი ნატაშა გაპონენკო. მაია ლომინეიშვილს 4 ქულა აქვს, სოფიკო ტყეშელაშვილს, ეკა გიორგაძეს, ნათია აფხაიძესა და რუსუდან გოლეთიანს — 3-3.

ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲟᲔᲡᲢᲘ

ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ ჩელიაბინსკში დამთავრებულ საბჭოთა კავშირის ზამთრის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრების წევრებიდან ყველაზე უკეთ გამოვიდა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის სტუდენტი ტარიელ ბიწაძე. როგორც უკვე გაცნობეთ, მან ბირთვის კვრაში 20,09 მეტრი აჩვენა და ვერცხლის მედალი მოიპოვა.



23 წლის ტარიელ ბიწაძე ქვეყნის ნაკრების წევრია. მართალია მან უკვე რამდენჯერმე დაიკავა საპრიზო ადგილი საკმაოდ მნიშვნელოვან ტურნირებზე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ასეთ წარმატებას პირველად მიაღწია. სავარაუდოა, რომ იგი გაემგზავრება ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც ასევე დარბაზში ტარდება.

სოხუმელი სპორტსმენის შედეგი საქართველოს უმაღლესი მიღწევაა დახურული არენისათვის. შეგახსენებთ, რომ მასვე ეკუთვნის რესპუბლიკის რეკორდიც.

ტარიელ ბიწაძეს ასევე სოხუმელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თამაზ ჭედია ავარჯიშებს. მალე ამ კვალიფიციური სპეციალისტის ჯგუფში მეცადინეობას შეუდგება რესპუბლიკის რეკორდმენი, ოღონდ ჭაბუკთა შორის (18 წლამდე ასაკის), წყალტუბოელი მერაბ ყურაშვილი.

ჩვენი მძლეოსნობის ამბავი ბევრს კარგად მოეხსენება — მწვრთნელები ბევრი გვყავს, კარგი სპორტსმენები — ცოტა, და არის სპორტსმენთა გადაბირების ცდა. ამიტომ საკმაოდ იშვიათ, კეთილ ჟესტად უნდა ჩაითვალოს მერაბ ყურაშვილის ახლანდელი მწვრთნელის ყარამან საბანაშვილის გადაწყვეტილება, სავარჯიშოდ გადასცეს მოწაფე თ. ჭედიას. აქ არ უნდა დავივიწყოთ წყალტუბოელი სპეციალისტი გივი თალაკვაძეც — ყურაშვილის პირველი მწვრთნელი...

ჩელიაბინსკში, ბიწაძის გარდა, საქართველოს კიდევ რამდენიმე სპორტსმენი ასპარეზობდა. 3 კმ-ზე რბენაში მეხუთე ადგილი დაიკავა ოლეგ სტრიჟაკოვმა. იგი დიდხანს ლიდერობდა 5-კილომეტრიან დისტანციაზე, მაგრამ ფეხი იტკინა და თვითონ მწვრთნელებმა ურჩიეს, მიეტოვებინა დისტანცია, ასე რომ, ჩვენმა გუნდმა კიდევ ნაღდი ერთი მედალი დაკარგა.

60 მეტრზე თარჯრბენში XII-XIV ადგილები დაიკავეს ვიაჩესლავ ვასილიევმა (7,97), იგორ ივანოვმა (7,98) და გელა ვეშაპიძემ (8,06). სამივეს შედეგი აჭარბებს სპორტის ოსტატობის ნორმატივს. 60 მეტრი საკმაოდ კარგად გაირბინა თამარ ბანიძემ — 7,46, რომელიც მეთხუთმეტე იყო.

ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲗ: ტარიელ ბიწაძე.

ᲒᲣᲨᲘᲜ..

თბილისის სპორტის სახახლეში გამართულ კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამო“ და რიგის ვეფ-ი. გაიმარჯვეს რიგელმა კალათბურთელებმა 91:86 (51:42).

ᲩᲐᲑᲣᲙᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ

ᲣᲙᲕᲔ გაცნობეთ საქართველოს ძიუდოისტ გოგონათა წარმატების შესახებ შეიარაღებული ძალების პირველობაზე, რომელიც ლენინგრადში გაიმართა. იქვე ასპარეზობდნენ ჭაბუკებიც (1970-1972 წ წ. დაბ.) და ქართველმა ფალავნებმა კვლავ დაამტკიცეს, რომ ჭიდაობის ამ სახეობაში უძლიერესნი არიან. მათ დამჯერებლად მოიგეს გუნდური პირველობა, ხოლო პირად შეჯიბრებაში 11 მედალი დაიმსახურეს.

ასპარეზობის ორგზის გამარჯვებული გახდა საბჭოთა კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ზაზა დაბრუნდაშვილი, რომელიც პირველობდა მძიმე და აბსოლუტურ წონითს კატეგორიებში. გაიმარჯვა აგრეთვე ზაზა საკაშვილმა (86 კგ). მეორე ადგილები მოიპოვეს შალვა ბექაურმა (მძიმე), ფრიდონ ყვავილაშვილმა (86 კგ), ბესიკ ქოქოევმა (78 კგ) და ამირან ტოტიკაშვილის ძმამ, მერაბმა (71 კგ). მესამე ადგილები კი დაიკავეს: მამუკა მახათაძემ (60 კგ), იოსებ ჭყონდარიძემ (78 კგ), ბაკური ერაშვილმა (78) და ისევ შ. ბექაურმა (აბსოლუტური). საქართველოს არმიელთა გუნდის მწვრთნელია რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ნუგზარ გოგოლაური.

ᲪᲘᲢᲐᲢᲐ

„ᲕᲘᲢᲑᲠᲔᲓᲘ—90“ ᲨᲔᲡᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

„— მართალია, რბოლაში გვიჭირს, ზოგჯერ ძალიანაც, მაგრამ, თუ ვაუკეთებ ხარ, უნდა გაიჭირვო. კიდეც, — მითხრა „უიტბრედის“ რბოლის მონაწილემ, საბჭოთა იახტა „ფაზისის“ წევრმა, სტარტამდე ფოთის იახტკლუბის დირექტორმა ჯუმბერ ცომაიამ“ — ასე იწყებს მსოფლიოს გარშემო აფროსანთა რბოლის მორიგი, მეოთხე ეტაპის რეპორტაჟს ოკლენდიდან „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტი ა. პესოვი.

„—იმავე ოკლენდში, განაგრძობს ჯ. ცომაია, — ათასობით გულშემატკივარი მთელ ღამეს ელოდა ნაპირზე ჩვენს გამოჩენას. თუ „ფაზისის“ ახალი პროექტი შედგა, აუცილებლად მივიღებ მასში მონაწილეობას. ყოველ ნავსადგურში დღითიდღე ვავსებ „მონაცემებისა და იდეების ბანკს“, რომელიც გამოადგება ჩემს ფირმასა და ყველა საბჭოთა იახტსმენს...

სხვადასხვა განწყობილებით დაიწყეს მონაწილეებმა მეოთხე ეტაპი. ყველაზე პოპულარული იახტსმენი გახლავთ ტრეისი ედვარდსი, ქალთა ეკიპაჟის „ბრიტეშ მეიდენის“ კაპიტანი. აფროსნობის ისტორიაში მან ქალთაგან პირველმა მიიღო დიდი ბრიტანეთის მეერ დაწესებული „წლის საუკეთესო იახტსმენის“ ტიტული, რომელიც 1989 წლის შედეგების გამო მიენიჭა. მართალია, მას ჯერ არაფერი მოუგია, მაგრამ მსოფლიოს გარშემო რბოლის პირველი ეტაპები წარმატებით დაძლია და აჯობა ვაუთა ეკიპაჟებს ატლანტის ოკეანეში და ანტარქტიკის მახლობლად, რამაც გარკვეული როლი შეასრულა. ხსვათა შორის, ჯ. ცომაიამ ინგლისელ გოგონებს გადასცა საბჭოთა იახტსმენი გოგოების საჩუქარი. ისინი თავად ემზადებიან მომავალი მსგავსი რბოლისათვის.

— აღფრთოვანებულები ვართ რბოლაში საბჭოთა იახტის მონაწილეობით, — თქვა რბოლის კომიტეტის ხელმძღვანელმა ადმირალმა ჩარლზ უილიამსმა. მკაცრი ცაიტნოტის მიუხედავად, ყველაფერი ვიღონეთ, რომ მონაწილეთა შორის ყოფილიყო საბჭოთა იახტაც. პირველი ცდა დიდებულია: შემენთ სწრაფი, უსაფრთხო, ლამაზი იახტა, მაგრამ მთავარი ის არის, რაც ნავმა თქვენს ქვეყანას მოუტანა, — ყველამ ნახა, რომ რქიანი ქაჯები კი არა ხართ, არამედ ჩვეულებრივი გულითადი ახალგაზრდები. თქვენი ეკიპაჟი ყველაზე პოპულარულია, როგორც იახტსმენთა, ისე მაყურებელთა შორის“.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ“.
7.II.90 Წ.

88 წლის წინათ...

ქართველ ტანმოვარჯიშეთა ტრიუმფი პრაღაში

1912 წელს სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებს, რომლის პროგრამაში ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობაც შედიოდა, წინ უსწრებდა პოპულარული სპორტული ზეიმი — სოკოლისტთა პრაღის VI საერთაშორისო აღლუმი.

ამ ტრადიციად ქცეულ შეჯიბრებაში მეორედ მიიღეს მონაწილეობა ქართველმა შევარდნებმა, რომელიც ასევე პეტერბურგის „სოკოლის“ სახელით გამოდიოდა.

სოკოლისტთა პრაღის საერთაშორისო მოფრენში ქართველ სპორტსმენთა მონაწილეობის შესახებ არსებულ ძუნწ ცნობებს ავსებს 1912 წლის 27 ივლისს გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნებული სტატია — „თბილისელი შევარდნები პრაღის შეკრებაზე“ და საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული, გიორგი ნიკოლაძის მიერ გადაღებული ფოტოსურათები, რომელთა პუბლიკაციასაც გთავაზობთ ამ წერილთან ერთად.

პირველი ფოტო.

„პრაღიდან დაბრუნდნენ თბილისელი შევარდნები, სადაც ისინი იმყოფებოდნენ შევარდენთა სრულიად სლავურ შეკრებაზე. მონაწილეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩეხი ხალხის გრანდიოზულ დღესასწაულს.

ისინი კმაყოფილნი არიან, არა მხოლოდ იმით, რომ ბევრი რამ საინტერესო ნახეს, არამედ პირველ რიგში იმიტომ, რომ ასპარეზობაში მონაწილე 393 ჯგუფს შორის გამარჯვება ხვდათ წილად. თბილისელი შევარდნები სამართლიანად ამაყობენ ბრწყინვალე შედეგებით.

პირველი პრიზი ეძლეოდა ჯგუფს, რომელიც ქულათა 80 პროცენტზე მეტს მოაგროვებდა. მეორე პრიზის მოსაპოვებლად გუნდს უნდა მოეგროვებინა ქულათა არანაკლებ 70 პროცენტისა.

პირველი პრიზის მფლობელები გახდნენ: 1. თბილისი — 93,2 (იგულისხმება პროცენტი); 2. პრაღა („ვინოგრადი“) —92,80; 3. სოფია (ბულგარეთის იუნაკების კავშირი) — 91,50; 4. ხარკოვი — 91,30; 5. ბელგრადი (სერბია) — 91,10; 6. ლიუბლიანა — 90,50; 7. ლიუბლიანა (II გუნდი) — 90,25; 8. ბრნო (მორავია) I—80,55; 9. ვინოგრადი (პრაღის ნაწილი) — 87,27; 10. ჟოდენიცე — 88,96; 11. კიევი —88,60; 12. პროსტოეევი (პრაღის ოლქი) — 88,55; 13. პრაღა-III — 88,42; 14. ბრნო (მორავია) II—88.35; 15. ეკატერინოსლავი — 88,17; 16. კარლოვიცა — 87,50, 17. მოსკოვი-IV — 87,50.

ასპარეზობაში მონაწილე რუსეთიდან წარგზავნილი გუნდები, მოპოვებული ქულების მიხედვით, განაწილდნენ შემდეგნაირად.

1. თბილისი, 2. ხარკოვი, 3. კიევი, 4. ეკატერინოსლავი, 5. მოსკოვი-IV, 6. პეტერბურგი-IV, 7. მოსკოვი-III, 8. ოდესა, 9. ჩერნიგოვი, 10. მოსკოვი-II, 11. კამენ პოდოლსკი, 12. ასტრახანი, 13. პეტერბურგი-VI.

თბილისის გუნდის ღირსებას იცავდნენ: ეგნატაშვილი, კოშოიანი, ნოვაკი , ბერელაშვილი, გოშტოფტი, ურიმასოვი. ამათ გარდა ერთეულთა თანრიგში მონაწილეობდნენ: მახოვი, გონელი და ნანიშვილი.

შევარდენთა ეს შეკრება განსაკუთრებით საზეიმოდ აღინიშნა, რადგან იგი დამთხვა შევარდნელთა მოძრაობის 50 წლისთავს და ჩეხი პატრიოტის იანოვსკის ძეგლის გახსნას...

აქ მოგვყავს იმდროინდელი პრესის გამოხმაურებებიც:

„მთელს ჩეხიაში აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ჩვენს შევარდნებს. ზლატა-პრაღას ქუჩებში შეგროვილი ხალხი მხურვალედ მიესალმებოდა მათ. მხიარული შეძახილებით ესალმებოდა და თაიგულებს ესროდნენ. შევარდნული მოძრაობის უძველესი ბუდე თავისიანებივით ხვდებოდა კავკასიელ სტუმრებს. თბილისელ შევარდნებს საცხოვრებლად გამოუყვეს ერთ-ერთი სკოლის შენობა...

მე-2 ფოტო.

ყველაზე მეტ ყურადღებას იჩენდნენ ჩვენი დელეგაციის მიმართ, რომელთა შევარდნულ ფორმასაც ამშვენებდა წარწერა — „თბილისი“. ჩეხები გაკვირვებულები შესცქეროდნენ მათთვის უცნობი, შორეული და უხილავი კავკასიიდან ჩამოსულ სტუმრებს, მრავალად იყო

მე-3 ფოტო.

ცნობისმოყვარეთა გაუთავებელი შეკითხვები. მათ პასუხს სცემდა ჩეხური ენის მცოდნე ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი...

დიდ ყურადღებას იპყრობდა ყველა. განსაკუთრებით პოპულარობით სარგებლობდა თბილისის საზოგადოება „სოკოლის“ ერთ-ერთი ფუძემდებელი, მხცოვანი სენატორი ნ. ა. სულთან კრიმ გირეი“.

ეს იყო შევარდნელთა პრაღის ბოლო შეკრება. ტანმოვარჯიშეთა ამ საერთაშორისო ასპარეზობას წერტილი დაუსვა ჯერ პირველმა მსოფლიო ომმა, ხოლო შემდეგ — რევოლუციამ.

• • •

შევარდენთა პრაღის V და VI საერთაშორისო ასპარეზობების ორგზის ლაურეატი გიორგი ნიკოლაძე შესანიშნავად ფლობდა ფოტოხელოვნებას. ამაზე მეტყველებს მის მიერ გადაღებული, საქართველოს სსრ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული ათასობით ფოტოსურათი (ნეგატივები, დიაპოზიტივები).

ფოტოაპარატი გიორგის მუდმივი თანამგზავრი იყო, ეღებდა ყველგან, ყველას და ყველაფერს. ამიტომ, ამ ფოტოსურათების თემა, ავტორის მოღვაწეობის დარად, მრავალმხრივია და მრავალფეროვანი.

ამ ფოტომატიანეში, რომელიც საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან პერიოდს (1880-1930 წწ.) მოიცავს, დიდი ადგილი უჭირავს ფიზკულტურასა და სპორტს. ბუნებრივია, რომ განსაკუთრებით კარგადაა წარმოდგენილი გ. ნიკოლაძის საყვარელი სპორტის სახეობები— ალპინიზმი და ტანვარჯიში.

რა თქმა უნდა, „კოდაკი“ მას არც პრაღის VI საერთაშორისო შეკრებაზე გამგზავრებისას დავიწყნია, და მრავალთა შორის ფირზე ეს მომენტებიც აღუბეჭდავს.

1 ფოტო. სანკტ-პეტერბურგი. მრავალრიცხოვანი გულშემატკივარი მიაცილებს პრაღისაკენ მიმავალ დელეგაციას.

2. პრაღა. თბილისელი (გარიბალდურ ფორმაში). და პეტერბურგელი (მეზღვაურთა ფორმაში) სოკოლისტების ჯგუფი. მარცხნიდან პირველი — გ. ნიკოლაძე, რომელსაც ხელში ფოტოაპარატისა და ფირების შესანახი ყუთები უჭირავს. აქვე დგანან — გ. ეგნატაშვილი, გ. ბერელაშვილი, გორელი ნანიშვილი და თბილისელი და პეტერბურგელი სხვა ტანმოვარჯიშეები. სურათი გადაუღია თამარ ნიკოლაძეს.

3. თბილისის სოკოლისტთა გუნდი პრაღის VI საერთაშორისო შეჯიბრების გახსნის საზეიმო პარადზე გასვლის წინ.

გონდო ჩიკვაიძე,
საქართველოს სსრ ცს არქივების სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

ფოტორეპროდუქციების ავტორია მ. დანელია.

ვამოწმებთ მიღებული დადგენილების შესრულებას

დაპირება ქაღალდზე არ დარჩენილა

შარშან პარტიის აბაშის რაიკომის ბიურომ ორჯერ განიხილა „ლელოს“ კრიტიკული გამოსვლები. ერთი კრიტიკული წერილი 3 მარტს გამოქვეყნდა („თავის მართლებას პრობლემების გადაჭრის გზების ძიება სჯობია“), ხოლო მეორე — 21 ივლისს („გულგრილობით სოფელი ზარალდება“). ბიუროომ მიიღო დადგენილება, რომელიც კონკრეტულ ღონისძიებებს ითვალისწინებდა.

დავინტერესდით, თუ რა ბედი ეწია მიღებულ დადგენილებას, იქცა თუ არა სიტყვა საქმედ.

სერიოზული შენიშვნები იყო განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის, საგვაზოს და აბაშისპირის არასრული საშუალო სკოლების, სოფელ წყემის სპორტული ბაზების მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

კრიტიკა ბევრს არ მოსწონს, მაგრამ ამ შემთხვევაში აბაშელებმა გაითვალისწინეს სამართლიანი შენიშვნები და შეძლეს მდგომარეობის მკვეთრად გაუმჯობესება.

განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დარბაზი ავარიულ მდგომარეობაში იყო. ერთ ფაქტს შეგახსენებთ მხოლოდ. 30 წლის წინათ აშენებულ დარბაზს, რომლის მეორე სართულზე ადმინისტრაციული ოთახებია, ასასვლელი კიბე არ ჰქონდა. იკითხავთ, ეს როგორ მოხდა, ნუთუ არ იცოდნენ ორსართულიან შენობას კიბე რომ სჭირდებოდა? იცოდნენ, მაგრამ აქაც იჩინა თავი შშენებელთა უპასუხისმგებლობამ. მას შემდეგ არავის გულთან ახლოს არ მიუტანია სპორტსკოლის მუშაკთა გასაჭირი და მეორე სართულზე მისაყუდებელი კიბით ადიოდნენ.

ახლა სპორტსკოლას კიბეც აქვს და კარგი დარბაზიც, სამუშაო ოთახებიც და დამხმარე სათავსოებიც. სამუშაო კარგად შეუსრულებია ხობის სამშენებლო კოოპერატივ „აისს“.

მუშაობა გამოცოცხლდა სპორტსკოლაში (დირექტორი ვაჟა ლიპარტია). აქ გრაფიკის დაცვით ვარჯიშობს ფრენბურთის, კლასიკური სტილით ჭიდაობის, მაგიდის ჩოგბურთის, ველოსპორტის სექციები. ერთი დარბაზი ყველა სექციას ვერ დაიტევს და ამიტომ ქალაქის სხვა სკოლებში მოქმედებს კალათბურთის, მძლეოსნობის, ფეხბურთის სექციები. იმედის ოვალით შეჰყურებენ ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობას, რომელსაც ღია მოედნებიც ექნება. მისი მშენებლობა წელს უსათუოდ დამთავრდება.

აბაშისპირის არასრული საშუალო სკოლის (დირექტორი ჯილდა ცომაია, ფიზკულტურის მასწავლებელი სოსო სალაყაია) სპორტდარბაზი ავარიულ მდგომარეობაში იყო. ახლა იქ უკეთესი პირობებია, თუმცა ღია მოედნები სრულყოფილი არ არის. სკოლას საკუთარი ძალებით კალათბურთის ფარები დაუყენებია. მაგრამ ესეც არ არის საკმარისი. სოფლის ხელმძღვანელობის დახმარებაა საჭირო, რათა მოეწყოს ფეხბურთის მოედანი, სარბენი ბილიკები, სახტომი ორმოები.

აქ ფიზკულტურის მასწავლებელი ახალი დანიშნულია. მას სკოლის ხელმძღვანელობა ემადლიერება, მაგრამ ახალგაზრდა სპეციალისტისგან მეტ ენთუზიაზმს ითხოვენ.

თითქმის ვერ ვიცანით საგვაზოს არასრული საშუალო სკოლის სპორტდარბაზი (დირექტორი ბორის თოფურია, ფიზკულტურის მასწავლებელი როლანდ კაკაურიძე). შარშან აქ ანტისანიტარია სუფევდა. კარფანჯრები ჩამსხვრეული იყო, დარბაზი არ თბებოდა, იატაკი საერთოდ არ ჰქონდა.

დღეს სულ სხვა სურათია. კარგი ხარისხის იატაკი დაუგიათ, დაუხაზავთ, ორ ფერად შეუღებავთ, კარფანჯრები გამოუცვლიათ, გათბობა ჩაუთავთ. გვესიამოვნა, როცა ნათელ, თბილ დარბაზში მასწავლებელი და მოსწავლეები გაკვეთილზე სპორტულ ფორმაში იყვნენ გამოწყობილი. ასეთი რამ ადრე შეუძლებელი იყო. სკოლის ხელმძღვანელობა ემადლიერება სენაკის მე-2 ტრესტის აბაშის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსს ნუგზარ ლატარიას, რომელმაც შეფობის წესით მათ დიდი დახმარება აღმოუჩინა.

წყემის სკოლის სპორტდარბაზი უფრო კინოსადემონსტრაციო დარბაზად იყო გამოყენებული, ახლა იგი თავის დანიშნულებას ასრულებს, ოღონდ ეგაა, როგორც სკოლას, ისე სოფელს, არა აქვს ფეხბურთის მოედანი. სასოფლო საბჭოს მოედნისთვის ტერიტორია შერჩეული აქვს და ახლა სიტყვა ნორიოს კოლმეურნეობის ხელმძღვანელებზეა. მან დროულად უნდა შეასრულოს სამუშაოები, რათა ზაფხულში ახალგაზრდებმა თამაში შეძლონ.

აბაშაში სხვა სასიკეთო ძვრებიცაა. ქალაქში შენდება სპორტდარბაზი და საცურაო აუზი. პირველი მაისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ჩინებული სპორტული კომპლექსი გააშენა. ანალოგიური სამუშაოები შესრულდება მარანის კოლმეურნეობაში. აქ მოეწყო იპოდრომი და ახლა ცხენებსაც შეიძენენ. ამისათვის მათ თანხაც აქვთ. ამ საქმეს სათავეში უდგას ენთუზიასტი ვეტერანი, ცხენოსანი დიმიტრი წითლიძე, რომელიც ბოლომდე მიიყვანს გვიან, მაგრამ კარგად დაწყებულ საქმეს.

— სწორად აღვიქვით „ლელოს“ კრიტიკული შენიშვნები, — გვეუბნება პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივანი გურამ გუნავა. — მდგომარეობის გამოსასწორებლად კონკრეტული ღონისძიებები გავატარეთ. ვფიქრობ, მინიმალურად მაინც შევძელით მისი შესრულება. რა თქმა უნდა, ამით არ ვკმაყოფილდებით. ვიცით, რომ გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვს.

ნუგზარ ფვანია,
„ლელოს“ ხაკ. კორ.

აბაშა.

P.S. როცა აბაშაში მიღებული დადგენილების შესრულებას ვსწავლობდით, ერთი სერიოზული პრეტენზია გამოითქვა, — უმრავლეს კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტები ნახევარ განაკვეთზე ან შეთავსებით მუშაობენ. რა უნდა მოეთხოვოს იმ სპეციალისტს, რომელსაც 40-50 მანეთი აქვს ხელფასი. მართალია, აქაური კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაბალრენტაბელურებია, მაგრამ გამოსავალი რატომღაც ინსტრუქტორ-მეთოდისტის შტატის განახევრებაში ნახეს. ამის უფლება კი მათ არა აქვთ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა 1990 წლის გათამაშების კალენდარი ● I წრე

● 1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშება

1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშება მერვედფინალები, საპასუხო მატჩები

1 მარტი, ხუთშაბათი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი), „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (მოსკოვი), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა).

სსრ კავშირის ჩემპიონატი

I ტური

1 მარტი, ხუთშაბათი. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი).

4 მარტი, კვირა, ცსკა — „შახტიორი“ (დონეცკი), „**გურია**“ (ლანჩხუთი) — „**ყალგირისი**“ (ვილნიუსი).

5 მარტი, ორშაბათი. „პამირი“ (დუშანბე) — „დინამო“ (კიევი), „**დინამო**“ (**თბილისი**) — „**მეტალისტი**“ (**ჩარკოვი**), „არარატი“ (ერევანი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი), „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (მინსკი).

ევროპის ჩემპიონთა თასი მეოთხედფინალი

7 მარტი, ოთხშაბათი. „ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი).

II ტური

9 მარტი, პარასკევი. ცსკა — „დინამო“ კ., „პამირი“ — „შახტიორი“, „**დინამო**“ **თბ.** — „**სპარტაკი**“ „არარატი“ — „მეტალისტი“, „დინამო“ მ. — „როტორი“, „**გურია**“ — „**დინამო**“ **მნ.**, „ჩერნომორეცი“ — „ყალგირისი“.

12 მარტი, ორშაბათი. „დნეპრი“ — „ტორპედო“.

ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის მეოთხედფინალი

14 მარტი, ოთხშაბათი. სსრ კავშირი (ნაკრები) — გფრ (ნაკრები).

III ტური

16 მარტი, პარასკევი. „დინამო“ კ. — „დნეპრი“, „სპარტაკი“ — ცსკა.

17 მარტი, შაბათი. „ტორპედო“ — „ჩერნომორეცი“, „**როტორი**“ — „**გურია**“, „ყალგირისი“ — „დინამო“ მ., „მეტალისტი“ — „პამირი“, „დინამო“ კ. — „არარატი“, „**შახტიორი**“ — „**დინამო**“ **თბ.**

1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშება მეოთხედფინალები

19 მარტი, ორშაბათი. ცსკა — „კრილია სოვეტოვი (კუიბიშევი).

20 მარტი, სამშაბათი. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — მოსკოვის „ტორპედოსა“ და ოდესის „ჩერნომორეცს“ შორის გამარჯვებული; „დინამო“ მნ. — „არარატსა“ და მოსკოვიბ „დინამოს“ შორის გამარჯვებული; „**მეტალისტი**“ — **თბილისის** „**დინამოსა**“ **და კიევის** „**დინამოს**“ შორის გამარჯვებული.

ევროპის ჩემპიონთა თასი მეოთხედფინალი (საპასუხო მატჩი)

21 მარტი, ოთხშაბათი. „დნეპრი“ — „ბენფიკა“.

IV ტური

24 მარტი, შაბათი. „ტორპედო“— „**გურია**“, „როტორი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მნ. — „დინამო“ მ., „სპარტაკი“ — „პამირი“, „მეტალისტი“ — ცსკა, „**დინამო**“ **კ.** — „**დინამო**“ **თბ.**, „შახტიორი“ — „არარატი“.

25 მარტი, კვირა. „ყალგირისი“— „დნეპრი“.

ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ გუნდებს შორის მეოთხედფინალი

(საპასუხო მატჩი)

28 მარტი, ოთხშაბათი. გფრ (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).

ამხანაგური შეხვედრა

28 მარტი, ოთხშაბათი. სსრ კავშირი (ნაკრები) — ჰოლანდია (ნაკრები).

V ტური

31 მარტი, შაბათი. ცსკა — „დინამო“ მნ., „**გურია**“ — „**შახტიორი**“, „დნეპრი“ — „სპარტაკი“.

1 აპრილი, კვირა. „პამირი“ — „ყალგირისი“, „**დინამო**“ **თბ.** — „**ტორპედო**“, „არარატი“ — „როტორი“, „დინამო“ მ. — „მეტალისტი“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ კ.

უეფა-ს თასები ნახევარფინალები

VI ტური

5 აპრილი, ხუთშაბათი. ცსკა — „ყალგირისი“, „პამირი“ — „დინამო“ მნ., „**დინამო**“ **თბ.** — „**როტორი**“, „არარატი“ — „ტორპედო“, „დინამო“ კ. — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „დნეპრი“, „**გურია**“ — „**მეტალისტი**“, „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“.

შენიშვნა: თუ დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ ევროპის ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში გავიდა, მისი შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან“ გაიმართება 2 მაისს.

VII ტური

9 აპრილი, ორშაბათი. „ტორპედო“ — ცსკა, „მეტალისტი“ — „დნეპრი“, „**დინამო**“ **კ.** — „**გურია**“.

10 აპრილი, სამშაბათი. „როტორი“ — „პამირი“, „**დინამო**“ **მნ.** — „**დინამო**“ **თბ.**, „ყალგირისი“ — „არარატი“, „სპარტაკი“ — „დინამო“ მ., „შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“.

VIII ტური

13 აპრილი, პარასკევი. „ტორპედო“ — „პამირი“, „დნეპრი“ — „დინამო“ კ.

14 აპრილი, შაბათი. „როტორი“ — ცსკა, „დინამო“ მნ. — „არარატი“, „**ყალგირისი**“ — „**დინამო**“ **თბ.**, „**სპარტაკი**“ — „**გურია**“, „მეტალისტი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ მ. — „შახტიორი“.

17 აპრილი, სამშაბათი. „სპარტაკი“ — „ყალგირისი“.

1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშება

17 აპრილი, სამშაბათი. ნახევარფინალები.

უეფა-ს თასები ნახევარფინალები

18 აპრილი, ოთხშაბათი. საპასუხო მატჩები.

IX ტური

21 აპრილი, შაბათი. „**დინამო**“ **თბ.** — **ცსკა**, „არარატი“ — „პამირი“, „როტორი“ — „ტორპედო“, „ყალგირისი“ — „დინამო“ მნ., „სპარტაკი“ — „მეტალისტი“, „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „**გურია**“ — „**დინამო**“ **მ.**

22 აპრილი, კვირა. „ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“.

ამხანაგური შეხვედრა

25 აპრილი, ოთხშაბათი. ირლანდია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები).

X ტური

28 აპრილი, შაბათი. ცსკა — „არარატი“.

29 აპრილი, კვირა. „**პამირი**“ — „**დინამო**“ **თბ.**, „ტორპედო“ — „დინამო“ მნ., „როტორი“ — „ყალგირისი“, „მეტალისტი“ — „დინამო“ კ., „შახტიორი“ — „სპარტაკი“, „**დნეპრი**“ — „**გურია**“, „ჩერნომორეცი“ — „დინამო“ მ.

1989-90 წლების საკავშირო თასის გათამაშება

2 მაისი, ოთხშაბათი. ფინალი.

XI ტური

6 მაისი, კვირა. „პამირი“ — ცსკა, „**არარატი**“ — „**დინამო**“ **თბ.**, „დინამო“ მნ. — „როტორი“, „ყალგირისი“ — „ტორპედო“, „სპარტაკი“ — „დინამო“ კ., „მეტალისტი“ — „შახტიორი“, „**გურია**“ — „**ჩერნომორეცი**“.

7 მაისი, ორშაბათი. „დინამო“ მ. — „დნეპრი“.

XII ტური

10 მაისი. ხუთშაბათი. „პამირი“ — „ჩერნომორეცი“, „**დინამო**“ **თბ.** — „**გურია**“, „სპარტაკი“ — „დინამო“ მნ., „მეტალისტი“ — „როტორი“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „ყალგირისი“.

11 მაისი, პარასკევი. ცსკა — „დინამო“ მ., „არარატი“ — „დნეპრი“.

XIII ტური

14 მაისი, ორშაბათი. „ტორპედო“ — „შახტიორი“, „როტორი“ — „დინამო“ კ., „დინამო“ მნ. — „მეტალისტი“, „**ჩერნომორეცი**“ — „**დინამო**“ **თბ.**

15 მაისი, სამშაბათი. „დინამო“ მ. — „არარატი“, „**გურია**“ — **ცსკა**, „დნეპრი“ — „პამირი“.

1990-91 წლების საკავშირო თასის გათამაშება

22 მაისი, სამშაბათი. მეთექვსმეტედფინალები.

XIV ტური

11 ივლისი, ოთხშაბათი. ცსკა — „ჩერნომორეცი“, „პამირი“ — „დინამო“ მ. „**დინამო**“ **თბ.** — „**დნეპრი**“.

12 ივლისი, ხუთშაბათი. „**არარატი**“ — „**გურია**“, „სპარტაკი“ — „ტორპედო“, „მეტალისტი“ — „ყალგირისი“, „დინამო“ კ. — „დინამო“ მნ., „შახტიორი“ — „როტორი“.

XV ტური

15 ივლისი, კვირა. „**დინამო**“ **მ.** — „**დინამო**“ **თბ.**

16 ივლისი, ორშაბათი. „ტორპედო“ — „მეტალისტი“, „როტორი“ — „სპარტაკი“, „დინამო“ მნ. — „შახტიორი“, „ყალგირისი“ — „დინამო“ კ., „**გურია**“ — „**პამირი**“, „დნეპრი“ — ცსკა, „ჩერნომორეცი“ — „არარატი“.

შენიშვნა: 28 მაისიდან 5 ივლისამდე გაიმართება სსრ კავშირის ფედერაციის თასის გათამაშება.

თამაშები ჩატარდება კალენდარში პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

მათეუსი:

„ჩემპიონატამდე ბევრი მოვიპოვებთ“!

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების კაპიტანი ლოთარ მათეუსი უკვე მერვე წელია ამ გუნდში თამაშობს.

— ჩემი დებიუტი ნაკრებში 1982 წელს შედგა ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში. მაშინ მეტად სუსტად და უფერულად ვთამაშობდით, თუმცა... მეორე ადგილზე გავედით. ჩვენი მაშინდელი თამაშის შემყურეს ფეხბურთი ნამდვილად არ შეუყვარდებოდა, სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, თამაშს ვერაფერი რეკლამა გავუკეთეთ. დღეს სულ სხვანაირად არის საქმე, გაცილებით უკეთ ვთამაშობთ და იტალიაში წარმატების იმედიცა გვაქვს.

● **რას იტყვით გფრ-ის ნაკრების მწვრთნელ ფრანც ბეკენბაუერზე?**

— ძალიან კარგი სპეციალისტია. შეუძლია გადამწყვეტი შეხვედრების წინ ფეხბურთელები ისე განაწყოს, რომ თამაშის დროს დაღლილობას ვერავინ გრძნობდეს.

● **რა მიზნით მიემგზავრებით იტალიაში?**

— დარწმუნებული ვარ, მოვიპოვებთ ჩემპიონობას და მას ფრანც ბეკენბაუერს მივუძღვნით. რა შედარებაა — ჩვენი ნაკრები ახლა გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე, ვთქვათ, 1982 და 1986 წლებში იყო! ახლა გუნდი 11 ტექნიკურად ყოველმხრივ მომზადებული ოსტატისაგან შედგება.

შემდეგ მათეუსმა ილაპარაკა იმ გუნდებზე, რომლებიც გფრ-ის ნაკრების ჯგუფში მოხვდნენ:

— იუგოსლავიის ნაკრებში ძლიერი ფეხბურთელებია. მათ შესარჩევი თამაშები მაინცდამაინც კარგად ვერ წარმართეს, მაგრამ ფინალში მაინც მოხვდნენ. კოლუმბიის გუნდი ერთხელ ვნახე, რომ ფინალში გასვლისათვის გადამწყვეტ მატჩს ატარებდა ისრაელის ნაკრებთან. კოლუმბიელთა მეკარე მეად რისკიანად თამაშობს, რას მეტოქეები უთუოდ გამოიყენებ ეს გუნდი საკმაოდ უფერულია. ფინალში რაიმე სერიოზული წარმატებების იმედი არ უნდა ჰქონდეს. საკმაოდ სუსტია არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებიც. მათთან შეხვედრისას ერთი საფრთხე მაინც არსებობს: ჩვენმა მოთამაშეებმა შეიძლება იფიქრონ, ამ გუნდს ადვილად დავამარცხებთო და მოულოდნელად ხიფათსაც გადაეყაროონ. ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, ეს ნაკრები ბუნდესლიგის მეორე ეშელონის გუნდების დონეზე თამაშობს. მას იაპონი ბრწყინვალე მწვრთნელიც კი ვერ უშველის, როგორიც ბრაზილიელი ზაგალოა.

ფეხბურთელის ფასი გაიზარდა

ფეხბურთის ახალი ამგები

● **იუგოსლავიურ** ფეხბურთს ახალი იმედი ეზრდება. ეს გახლავთ ზაგრების „დინამოს“ ფორვარდი ცვეტანოვიჩი. ჩვეულებრივ, მას მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე უშვებდნენ ხოლმე მინდორზე. ასეთ მოკლე დროში ძნელია თავის გამოჩენა, მით უმეტეს გამოუცდელი იუნიორისათვის. მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატის ბოლო მატჩებში ცვეტანოვიჩმა აალაპარაკა პრესა. ჯერ „სარაევოსთან“ შეხვედრაში 2 გოლი გაიტანა (88-ე და 90-ე წუთებზე), მომდევნო თამაშში კი „ველეჟის“ კარი აიღო (90-ე წუთი). ახლა მას ლიგის უნიკალური შედეგი აქვს. ორ მატჩში (სულ 10 წუთი) — 3 გოლი.

● **შვეიცარიის** ჩემპიონატის დაწყებამდე „სიონი“ ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად ითვლებოდა. მაგრამ უცხოელ ფეხბურთელებზე აღებულმა ორიენტაციამ არ გაამართლა. ოთხივე მოთამაშე — მსოფლიო ჩემპიონი კლაუსენი (არგენტინა), მორი (გფრ), რენკინი (ბელგია) და ტუდორი (ჩილი) ტრავმირებულია, ადგილობრივ ფეხბურთელთაგან კი ვერავინ იკისრა ლიდერის როლი. მეორე წრის დაწყების წინ, გუნდმა კიდევ ერთი ჩილელი, „უნივერსიდად კატოლიკას“ წამყვანი ნახევარმცველი ლუკასი შეიძინა.

● **იტალიის** „მილანის“ 90 წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ამ კლუბის ყველა დროის სიმბოლური ნაკრების შემადგენლობა, რომელშიც შევიდნენ: მეკარე ლორენცო ბუფონი, მცველები — ჩეზარე მალდინი (მარცხენა მცველ პაოლო მალდინის მამა), ფრანკო ბარესი, კარლ ჰაინც შნელინგერი (გფრ) და ფულვიო კოლოვატი. ნახევარმცველები—ჯანი რივერა, რუუდ გულიტი (ჰოლანდია), ჟოზე ალტაფინი (ბრაზილია). თავდასხმა — ხუან შიაფინო (ურუგვაი), მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) და ჰუნარ ნორდალი (შვეცია).

● **არგენტინელი** პრესის ცნობით ქვეყნის ნაკრების კიდევ ორი მოთამაშე გადადის ევროპის კლუბებში. ალეხანდრო ალფარო მორენო საფრანგეთის „მონაკოში“ ითამაშებს თანამემამულე რამონ დიასთან ერთად, ხოლო დიეგო სიმეონე იტალიის „ვერონაში“ შეცვლის ასევე არგენტინელ სოტომაიორს.

● **ნაკლებად** ცნობილი ურუგვაელი ფეხბურთელი ხავიერ ვალარბარი სტაჟირებას გადის ინგლისის „ნოტინგემში“. თუ იგი მოერგება გუნდს, ვალარბარი გახდება ინგლისში მოთამაშე პირველი ურუგვაელი.

● **1978 წლის** მსოფლიო ჩემპიონი დანიელ ალბერტო პასარელა მალე მიიღებს მწვრთნელის დიპლომს. მომავალში მას სურს ეროვნული ნაკრების მომზადებას მიჰყოს ხელი. მანამდე კი თავის ყოფილ თანაგუნდელ რეინალდო მერლოსთან ერთად სათავეში ჩაუდგება მშობლიურ „რიეერ პლეიტს“.

● **აშშ-ის** ნაკრების ორი ფეხბურთელი მეკარე ტონი მეოლა (20 წ.) და ნახევარმცველი ჯონ ჰარკსი (22 წ.) წვრთნას გადის ინგლისის I დივიზიონის კლუბ „შეფილდში“. შესაძლოა ახლო მომავალში მათ პროფესიული კონტრაქტები გააფორმონ ამ გუნდთან.

● **ევროპის** „სუპერ ოქროს ბურთის“ პირველი ლაურეატი არგენტინელი ალფრედო დი სტეფანო დანიშნა მადრიდის „რეალის“ ტექნიკურ მრჩევლად. კლუბის პრეზიდენტი რამონ მენდოზა ამ ხელშეკრულების ინიციატორი იყო.

● **ჰოლანდიის** ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში რუმენეთის სპორტის მინისტრმა მირჩა ანჯელესკუმ განაცხადა, რომ იტალიის მსოფლიო პირველობის შემდეგ, ქვეყნის ორი უძლიერესი ფეხბურთელი ჰაჯი და ლეკეტუში უცხოეთის პროფესიულ გუნდებში თამაშის უფლებას მიიღებენ.

● **კითხვის** ნიშნის ქვეშ დგას ახალი ხელშეკრულება ზეპ პიონტეკსა და დანიის ფედერაციას შორის. ამის მიზეზია ფედერაციის მიერ მწვრთნელისათვის კუთვნილი პრემიის გადაუხდელობა.

● **ინგლისის** ფეხბურთის ფედერაციამ უარი უთხრა არგენტინელ ოსვალდო არდილესს მწვრთნელის ლიცენზიის მიცემაზე. საქმე ისაა, რომ ინგლისის კანონის თანახმად მწვრთნელის დიპლომი ეძლევა მხოლოდ ამ ქვეყნის მოქალაქეს.

● **ბელგიის** „მეჰელენმა“ გაანთავისუფლა მწვრთნელი რუდ კროლი. არც თვითონ ჰოლანდიელმა და არც კლუბის დირექტორატის წევრებმა არ მოისურვეს ამ გადაწყვეტილების ახსნა. გუნდი ლიდერობს ბელგიის ჩემპიონატში და ბრძოლას განაგრძობს ევროპის ჩემპიონთა თასისათვის. ასე რომ, კროლის გაძევების მიზეზი სპორტულ შედეგებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული. ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე „მეჰელენს“ ავარჯიშებს კროლის თანაშემწე ვან ჰოფი.

(სპკ. ინფ.).

• • •

ა. კარბახალი უარზეა

მთელს ქვეყანაზე არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც 5 მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. ეს გახლავთ მექსიკის ნაკრების მეკარე ანტონიო კარბახალი.

ა. კარბახალი ამჟამად მწვრთნელად მუშაობს. მას ამას წინათ შესთავაზეს ეროვნულ ნაკრებს ჩასდგომოდა სათავეში, მაგრამ ა. კარბახალი უარზეა. უარის მიზეზი ისაა, რომ მექსიკის ნაკრები, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, დისკვალიფიცირებულია და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობის უფლება ჯერჯერობით არა აქვს; ა. კარბახალს კი მიაჩნია, რომ ამ მძიმე სანქციის მერეც მექსიკის ფეხბურთის ფედერაციაში წესრიგი არ დამყარებულა.

საქართველოს ძალოსანთა პირად-გუნდური პირველობა

ექსჩემპიონები ახალ ამპლუაში

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს ძალოსანთა პირად-გუნდურ პირველობაში, რომელიც სენაკში გაიმართა, არ მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და რუსთავის გუნდები. მათ გარდა ძალოსნურ ფიცარნაგზე არ გამოსულან საქართველოს მოსწავლეთა ნაკრების წევრები (მწვრთნელებმა გადაწყვიტეს, რომ ისინი თებერვალში საქართველოს ჭაბუკთა პირველობაში გამოვლენ). ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამ ასაკის ძალოსანთა საკმაო ნაწილი სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის.

და აი, მიუხედავად იმისა, რომ ასპარეზობაში პირველზე დაბალი თანრიგის სპორტსმენები არ დაშვებოდნენ, შეჯიბრებაში მაინც ოთხმოცზე მეტი ძალოსანი ჩაება, თუმცა მათ შორის მხოლოდ რამდენიმე გამოცდილი ათლეტი ერია.

ასეთ დაქსაქსულ შეჯიბრებას მხოლოდ ერთი დადებითი მხარე აქვს — ახალბედებს ხელ-ფეხი ეხსნებათ, გამარჯვებას გემოს უგებენ და რწმენა ემატებათ, მაგრამ ყოველი ასპარეზობის ფასი, ცხადია, შედეგებით იზომება. ამ მხრივ, სამწუხაროდ, ეს შეჯიბრება არაფრით იყო გამორჩეული.

ერთ-ერთ იმედად რჩებოდა „რამდენიმე გამოცდილი ათლეტი“, მაგრამ მათ შორის ყველაზე ტიტულოვანმა, ევროპის პირველობის მესამე პრიზიორმა საჩხერელმა გიორგი ჩუბინიძემ ხელის ტრავმა მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა. ეს საწყენი კიდევ იმიტომაა, რომ იგი მარტში იუნიორთა საკავშირო პირად პირველობაზე უნდა გამოვიდეს. თუ მანამდე ტრავმა არ მოუშუშდა და არ დაიბრუნა თავისი საუკეთესო სპორტული ფორმა, ასე ვერ გაემგზავრება მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც მაისში არაბეთის გაერთიანებულ საემიროში უნდა გაიმართოს. იმედი გვაქვს სპორტსმენი და მისი მწვრთნელი ყველაფერს იღონებენ, რომ ეს შანსი არ დაკარგონ.

სენაკში დაბალ წონით კატეგორიებში საჩხერელმა კობა ალავიძემ (52 კგ) და კახა მიხელიძემ (56 კგ) გაიმარჯვეს. ეს ორი სპორტსმენი საგანგებოდ იმიტომ გამოვყავით, რომ ამ ქალაქში უკვე წელიწადნახევარია მოქმედებს ინვენტარით აღჭურვილი ძალოსნობის ოლიმპიური რეზერვების რესპუბლიკური სასწავლებლის ფილიალი, სადაც 35 სპორტსმენი სწავლობს. ეს ორი სპორტსმენი კი ინტერნატის „პირველი გამოშვებაა“. საჩხერელებს დღემდე, როგორც რესპუბლიკურ ისე საკავშირო არენაზე, არაერთი წარმატებისათვის მიუღწევიათ. და იმედი გვაქვს, ინტერნატის დაარსება მათ უფრო ფართო ასპარეზს გაუხსნის.

შეჯიბრებაზე ყურადღება მიიქცია აგრეთვე 110 კგ წონითი კატეგორიის ძალოსანმა თბილისელმა იგორ კობზევმა. მის მიერ ორჭიდის ჯამში ნაჩვენები 325 კილოგრამი, ცხადია, არც თუ ისე შთამბეჭდავი ციფრია, მაგრამ იგორის ფიზიკური მონაცემები ამთავითვე გვაიმედებს, რომ მისი სახით რესპუბლიკის ნაკრებს საიმედო ცვლა ეზრდება.

დანარჩენ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს: ალექსანდრე ელიზარიანმა (60 კგ. ორჭიდში — 215 კგ.), ფრიდონ პაპულაშვილმა (67,5.232. ორივე — თბილისი), ილია თვალოძემ (75. 240. ქუთაისი), არაიკ კაზარიანმა (82,5. 300. თბილისი), სლავა ვეკუამ (90. 300.), მუხრან გოგიამ (100. 325. ორივე — ზუგდიდი), ბაკურ ქორქაძემ (+110. 260. ქუთაისი).

აღსანიშნავია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ძალოსნობის განვითარებისათვის გადაიდგა ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი — თავის გუნდებში მწვრთნელებად დაბრუნდნენ საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრები, მათ შორის რესპუბლიკის ექსჩემპიონები. ერთი სიტყვით, ის ადამიანები, რომელთა გამოცდილება უქმად იკარგებოდა. რესპუბლიკის სპორტსაზკომის ძალოსნობის განყოფილებას გარკვეული მუშაობის ჩატარება მოუწია, ყოფილ სპორტსმენებს შეექმნათ სათანადო პირობები მატერიალური უზრუნველყოფის ჩათვლით. 22 ყოფილი გამოცდილი ძალოსნის საწვრთნელ მუშაობაში ჩაბმა ცოტას როდი ნიშნავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მხრივ კიდევ საკმაო სამუშაოა გასაწევი. ბევრგან ჯერ კიდევ არაკვალიფიციური კადრებია დასაქმებული. მწვრთნელთა დეფიციტის გამო ვერ ხერხდება მათ შორის კონკურენციის მოწყობა. დღეს მწვრთნელად იღებენ თითქმის ყველას, ვისაც ამის სურვილი და არცთუ სახარბიელო მონაცემები აქვს...

სასიხარულოა, რომ საქართველოს ძალოსნობის მოყვარულებს მარტის დასაწყისში საინტერესო შეჯიბრება ელით. თბილისში ტარდება საერთაშორისო ტურნირი, სადაც 20-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლები გამოვლენ. საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებს შორის იქნებიან ჩვენი ძალოსნებიც: კახი კახიაშვილი, კობა ტალახაძე და ბიძინა მიქიაშვილი.

ჯემალ კასრაძე.

ვაინდ ჭეკოფილდი

მათ შორის მოლაპარაკება კარგა ხნის წინ დაიწყო და ახლა ყველა პრობლემა გადაწყვეტილი სჩანდა. იტალიის პროფესიონალ ველოსიპედისტთა გუნდის „შატო დ' აკსის“ სპორტულმა დირექტორმა ჯანლუიჯი სტანგამ, როგორც იქნა, მიიღო სრულფასოვანი შევსება. კონტრაქტი ჯერ არ იყო ჯეელმოწერილი, მაგრამ გდრ-ის ცნობილი ველოსიპედისტები უვე ამპლერი, მარიო კიუმერი, იან შური, უვე რააბი და ოლაფ ლუდვიგი ყველა პირობაზე თანახმანი იყვნენ.

მაგრამ ბოლო მომენტში გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: გამოჩნდნენ უფრო მდიდარი კონკურენტები, რომლებმაც ველოსიპედისტები გადაიბირეს. სტანგას დარჩა მხოლოდ კიუმერი და შური. ამპლერი და რააბი ჰოლანდიელებმა იყიდეს, ლუდვიგი კი დასავლეთ-გერმანიის „შტუტგარტში“ ჩაირიცხა.

სტანგა მაინც კმაყოფილია. ჯერ ის რად ღირს, რომ 27 წლის კიუმერი და 24 წლის შური სეულის ოლიმპიადის ჩემპიონები არიან და შესამჩნევად გააძლიერებენ მის ისედაც ძლიერ გუნდს. სტანგა დარწმუნებულია, რომ გერმანელი ველოსიპედისტები ყველაფერს იღონებენ, რათა გუნდმა თავი გამოიჩინოს 1990 წლის პროფესიონალთა სტარტებში, განსაკუთრებით ტურ დე ფრანსსა და ჯირო დ' იტალიაში.

ახლა უკვე ცნობილია კონტრაქტის პირობებიც. თითოეული ველოსიპედისტი წელიწადში მიიღებს 50 მილიონ ლირას (35 ათას დოლარს). ამ თანხაში არ შედის, ცხადია, პრემიები და რეკლამისაგან მიღებული ფული.



ტაისონი — ჰოლიფილდი

ლას-ვეგასში ერთმანეთს შეხვდა პროფესიული კრივის ორი ცნობილი მენეჯერი დონ კინგი და დან დუვა. მათ მიაღწიეს შეთანხმებას იმის თაობაზე, რომ 18 ივნისს გაიმართოს მატჩი მსოფლიო პირველობაზე მძიმე წონაში ამ წოდების მფლობელ მაიკ ტაისონსა და უძლიერეს პრეტენდენტად ცნობილ ევანდერ ჰოლიფილდს შორის.

ჯერჯერობით საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, სად გაიმართება ეს მეტად საინტერესო შეხვედრა, მაგრამ, ეტყობა, იგი ატლანტიკ სიტიში უნდა ჩატარდეს. მიღწეული შეთანხმებით, ტაისონი საპრიზო ფონდის (ვარაუდობენ 11 მილიონ დოლარს) ორ მესამედს მიიღებს.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე

სენას „საქმე“ არ დამთავრებულა

როგორც ვიუწყებოდით, საავტომობილო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ჟან-მარი ბალესტრი თავის სუპერლიცენზიას არ აძლევს ბრაზილიელ ავტომრბოლ აირტონ სენას.

დღეისათვის სენას „საქმემ“ ერთი ნაბიჯით წინ წაიწია. ბრაზილიელმა პილოტმა გადაიხადა ფედერაციის მიერ დადებული ჯარიმა — 100 ათასი დოლარი. ახლა „მაკლარენს“ უფლება მისცეს გამოიყენოს ორი მანქანა „ფორმულა I“ კლასის მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე. ერთი ბოლიდის საჭეს მიუჯდება ცნობილი ავსტრიელი მრბოლი გერჰარდ ბერგერი. მეორე ადგილი კი, რომელიც სენას ეკუთვნის, ჯერჯერობით ვაკანტურია. საქმე ისაა, რომ ბრაზილიელს ჯერ კიდევ არ შეუსრულებია მეორე მოთხოვნა, რომელიც პირადად პრეზიდენტმა წაუყენა — ბოდიში მოუხადოს მას რიგი ბრალდებებისთვის.

ლიცენზიის მისაღებად აირტონ სენამ ეს უნდა გააკეთოს 15 თებერვლამდე. ამ დღეს წყდება ლიცენზიების გაცემა.

ფისა-ს ცნობით 1990 წლის ჩემპიონატზე 35 ავტომობილია დაშვებული.

„სპორტპროგნოზი“, მე-7 ტირაჟის პროგრამა (18 თებერვალი)

იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში

		პროგნოზი		
1. „ბოლონია“ (ბოლონია) — „ახკოლი“ (ახკოლი)	18.II	70	20	10
2. „ლაციო“ (რომი) — „ჩეზენა“ (ჩეზენა)	18.II	50	40	10
3. „ბარი“ (ბარი) — „ინტერი“ (მილანი)	18.II	10	30	60
4. „ატალანტა“ (ბერგამო) — „იუვენტუსი“ (ტურინი)	18.II	10	40	50
5. „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „ლეჩე“ (ლეჩე)	18.II	80	10	10
6. „ნაპოლი“ (ნეაპოლი) — „რომა“ (რომი)	18.II	40	50	10
7. „ვერონა“ (ვერონა) — „სამპდორია“ (გენუა)	18.II	20	70	10
8. „გენუა“ (გენუა) — „უდინეზე“ (უდინე)	18.II	40	50	10

ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში

9. „ხელტა“ (ვიგო) — „ოვიედო“ (ოვიედო)	18.II	20	70	10
10. „ლოგრონიესი“ (ლოგრონიო) — „ოსასუნა“ (პამპლონა)	18.II	30	50	20
11. „სპორტინგ ხიხონი“ (ხიხონი) — „სარაგოსა“ (სარაგოსა)	18.II	30	30	40
12. „კადისი“ (კადისი) — „სევილია“ (სევილია)	18.II	20	30	50
13. „მალაგა“ (მალაგა) — „რეალი“ (მადრიდი)	18.II	10	10	80

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულთა საყურადღებოდ!

„ლელოს“ 7 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა ლატარია „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის მე-5 ტირაჟის შედეგები, რომელშიც მე-11 წყვილის, „ფიორენტინა“ (ფლორენცია) — „მილანი“ (მილანი), შედეგი აღნიშნულია ციფრით „1“. ეს ცნობა რედაქციამ, როგორც ყოველთვის, მიიღო საკდესისაგან და მასზე დაყრდნობით დაბეჭდა ტირაჟის შედეგები.

როგორც გაირკვა, ზემოთ აღნიშნული წყვილის შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:3 „მილანის“ სასარგებლოდ, რომელიც წყვილში მეორედ იყო მინიშნებული. ამრიგად, „ლელომ“ გაიმეორა საკდესის მასალაში დაშვებული შეცდომა და დღეს ასწორებს მას.

„სპორტპროგნოზის“ მოყვარულებს ვთხოვთ მიაქციონ ყურადღება ამ გასწორებას.

მე-11 წყვილის შედეგი უნდა იკითხებოდეს ასე: **11-2.**

ინფორმაცია

თბილისელმა მშვილდოსანმა სერგო გატკაევმა მესამე ადგილი დაიკავა მოსკოვში გამართულ შეიარაღებული ძალების ჩემპიონატში, ოღონდ იუნიორთა შორის — მ-1 ვარჯიშში 1274 ქულა მოაგროვა. მის გუნდს (ასკ-10), რომლის მწვრთნელია ვასო ნაცვლიშვილი, საერთო მეხუთე ადგილი ხვდა წილად. პირად. პირველობაში ასევე მე-5 ადგილზე გავიდა კიდევ ერთი თბილისელი მშვილდოსანი რეგინა მჟავანაძე.

პროფესიონალთა სამეულები

ნიუ-იორკი. ნბა-ს პროფესიონალ კალათბურთელთა ბოლო სამი ტური „პორტლენდის“ მიღწევებით აღინიშნა, რომელმაც მეტად პრინციპული მატჩების მოგებით ლიდერთა ჯგუფში დაიმკვიდრა ადგილი. მან ჯერ „იუტა ჯაზის“ საკმაოდ ძლიერი გუნდი დაამარცხა — 122:98, მერე კი „ფენიკს სანი“ — 123:121 და „დალასი“ — 131:100.

გთავაზობთ ჩემპიონატის ცხრილებს:

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტის დივიზიონი	მ.	წ.	%
„ნიუ-იორკი“	29	16	64,4
„უილადელფია“	29	16	64,4
„ბოსტონი“	27	17	61,4
ცენტრალური დივიზიონი			
„დეტროიტი“	33	14	70,2
„ჩიკაგო“	28	17	62,2
„მილუოკი“	26	21	55,3

დასავლეთის კონფერენცია

შუა-დასავლეთის დივიზიონი			
„სან-ანტონიო“	31	13	70,5
„იუტა ჯაზი“	31	13	70,5
„დენვერი“	25	19	56,8
წყნარი ოკეანის დივიზიონი			
„ლოს-ანჯელესი“	33	11	75,0
„პორტლენდი“	33	12	73,3
„ფენიკსი“	27	17	61,4

რესპუბლიკაში არსებული საბილიარდო კლუბების, რაიონული ასოციაციებისა და ბილიარდის მოყვარულთა

საყურადღებოდ!

10 თებერვალს თბილისის პროფკავშირების კულტურის სახახლის ხაჭატო დარბაზში ტარდება საქართველოს საბილიარდო სპორტის მომდევართა ასოციაციის დამფუძნებელი კონფერენცია.

დასაწყისი დილის 11 საათზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, პროფკავშირების კულტურის სახლი

ასოციაციის სპონსორია **ახალგაზრდული სპორტული გაერთიანება.**

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე: 93-98-39, 93-99-99.

სპორგანიზაციო კომიტეტი

თბილისის სპორტის სასახლე

მინიფეხბურთის ტურნირი

9-12 თებერვალი

ტურნირის ორგანიზატორები: სიჯანსაღისა და სპორტის საქველმოქმედო რესპუბლიკურ ფონდთან არსებული გაერთიანება „ორგი“ და საქართველოს სპორტსახკომთან არსებული მინიფეხბურთის კლუბი „მრეტები“

მონაწილეობენ: „გურია“ (ლანჩხუთი), „ქუთაისი“ (ქუთაისი), „დინამო“ (ბათუმი), „მრეტები“ (თბილისი) და ტურნირის საპატიო სტუმარი პოლონეთის ჩემპიონი „გ. კ. ს.“ კატოვიცე.

სპონსორები: ს/გ „ორიონი“, ს/გ „თეთრონი“, თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკა, ს/გ „საქმარგარინმრეწვი“, კოოპერატივი „ვარკეთილი-5“ სამშენებლო-საპროექტო დიზაინერული ფირმა „ოდა“.

დასაწყისი: 9, 12 თებერვალს — 19 საათზე, 10, 11 თებერვალს —17 საათზე.

ბილეთები იყიდება სპორტის სასახლის სალაროებში 7 თებერვლიდან.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: მარტის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08709